ლელო

№ 66
(11026)

19 — 22 ოქტომბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

უკანასკნელ საათს

● როგორც თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებისაგან შევიტყვეთ, 29 ოქტომბერს პორტუგალიაში უეფას თასის 1/16 ფინალურ განმეორებით შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გუნდის „ლიბერო“ მამუკა მაჭავარიანი. თუ დავუმატებთ, რომ ამავე მატჩში ვერ ითამაშებს კარლო კალაძე (მეორე ყვითელი ბარათის გამო), ნათელი გახდება, რომ „დინამოს“ სწორედ დაცვის ხაზში შეექმნება გარკვეული პრობლემები. ჯანმრთელობის გაუარესება სათუოს ხდის აგრეთვე საყრდენი ნახევარმცველის გიორგი კიკნაძის გამოსვლასაც.

● ქართველმა მსაჯებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი მაღალი კლასი. 9 ოქტომბერს მინსკში 8000 მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ევროპის მეოთხე ჯგუფში: ბელარუსი — ლატვია 1-1.

მატჩის კომისარმა (დელეგატმა) მაღალი შეფასება მისცა შეხვედრის მომსახურე ბრიგადას — სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი) — ფიფას არბიტრი, ვახტანგ ჩოჩიშვილი (თბილისი) — ფიფას ლაინსმენი, სოსო კახიანი (სამტრედია) — ფიფას ლაინსმენი. მას შესაძლებლად მიაჩნია შემდგომშიც ანდონ ქართველ მსაჯებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მომსახურება.

* * *

რაგბი ❖ საქართველო — რუსეთი

ვინ — ვის?

20 ოქტომბერს, დღის ოთხის ნახევარზე, თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს რაგბისტთა ეროვნული ნაკრები ეთამაშება რუსეთის ეროვნულ გუნდს მსოფლიო თასის წინა შესარჩევ მატჩში.

აღსანიშნავია, რომ აქამდე სპორტულ სათამაშო სახეობებში არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქართველო რუსეთს შეხვედროდა და აი, ეს დღეც დადგა!

მძლეოსნები რიგგარეშე ყრილობაზე იკრიბებიან

პარასკევს, 25 ოქტომბერს ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში ჩატარდება საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. დასაწყისი 14 საათზე.

მილოცვა

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს და სსრ კავშირის პირველობების პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში **ელგუჯა მენთეშაშვილს.**

UEFA CUP

©UEFA 1995

„თბილისში ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია...“

პორტუგალიური პრესა «დინამო» «ბოავიშტას» მატჩის შესახებ

17 ოქტომბერი. ლისაბონი (პორტუგალია). „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი ზურაბ ჯიქია გვატყობინებს:

განვლილი ორი დღე მთელი პორტუგალია ფეხბურთით ცხოვრობდა: განა სახუმარო საქმეა, ევროპულ საკლუბო ტურნირებს, რომელიც გადამწყვეტ ფაზაში შედის, ქვეყნის 4 კლუბია შემორჩა: „პორტუ“ — ჩემპიონთა ლიგაში, „ბოავიშტა“, „გიმარაეში“ და „სპორტინგი“ — უეფას თასზე, „ბენფიკა“ — თასებისთასზე.

სამშაბათს დილიდანვე სხვადასხვა სატელევიზიო კომპანიაში დავიწყე რეკვა: ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ „დინამო“ — „ბოავიშტას“ მატჩს რომელიმე არხი აჩვენებდა, მაგრამ ამაოდ. პასუხი ერთი იყო — თბილისიდან რადიორეპორტაჟი ეწყობა, ხოლო მატჩის ფრაგმენტებს ვუჩვენებთ ნაშუაღამევს, გუნდი რომ ჩამოფრინდებაო. სხვა რა გზა იყო — დღის ორ საათზე (საღამოს 6 საათზე თბილისის დროით) მივუჯექი რადიომიმღებს და სულგანაბული ვუსმინე რეპორტაჟს შორეული საქართველოდან...

დაახლოებით ღამის 1 საათი იყო, როდესაც ტელევიზიამ უჩვენა თბილისური მატჩის ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტები, რომელსაც კომენტარს უკეთებდნენ „ბოავიშტასთან“ ერთად ჩამოფრენილი სპორტული ჟურნალისტები. 16-ში დილით პორტუგალიის მრავალმა გაზეთმა დაბეჭდა სპეციალური კორესპონდენტების რეპორტაჟები თბილისიდან. ვითვალისწინებთ რა ქართველი გულშემატკივრების ინტერესს, შევეცდები მოგაწოდოთ ის ძირითადი შთაბეჭდილებები, რომლებიც ასახულია გაზეთების ფურცლებზე.

„ბოლა“: „კვირას საღამოს თბილისი წვიმიანი ამინდით, ენერგოკრიზისის გამო ჩაბნელებული ქუჩებით და საუცხოო სასტუმრო „მეტეხით“ დაგვხვდა... ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ყოფილა და გულთბილად მიგვიღეს, რაც აღნიშნა კიდეც მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე „ბოავიშტას“ თავკაცმა იუგოსლავმა ზორან ფილიპოვიჩმა, რომელიც იგივეს შეპირდა ქართველებს ორი კვირის შემდეგ განმეორებით მატჩზე რომ ჩამოვლენ. სენიორ ზორანმა თბილისიდან რომ მოვფრინავდით, თქვა: „16 წელი ვითამაშე „ცრვენა ზვეზდასა“ და იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებში, გამოვდიოდი „ბენფიკაში“, ბოლოს „ბოავიშტაში“, სად, რიმელ ქვეყანაში არ ვყოფილვარ ამ გუნდებთან ერთად, მაგრამ ასეთი გულთბილი ხალხი არსად მინახავს. გულშემატკივარსაც, ეტყობა, ესმის ფეხბურთი. თავისიანებს კი ქომაგობდნენ, მაგრამ თუ ჩვენი ფეხბურთელიც რაიმე ღირსშესანიშნავს მოიმოქმედებდა მინდორზე, მოწონებით ხვდებოდნენ...

„ბოავიშტას“ მენეჯერებმა მატჩი რომ დამთავრდა შვებით კი ამოისუნთქეს, მაგრამ საკმაოდ უკმაყოფილო იყვნენ და მართლაც, სტუმრები ფრეს მაინც იმსახურებდნენ. გასახდელში მიმავალმა 24 წლის ჯიმიმ, რომელმაც პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ნუნიუ გომეში შეცვალა, დანანებით თქვა: „ნეტავ ის ჯარიმა გამეტანა და თანახმა ვარ მთელი თვის გასამრჯელო არ მიმეღო“. და მართლაც, შეხვედრის ბოლო წუთებში „დინამოს“ მეკარე ზოიძე, რომელიც საქართველოს ნაკრების გოლკიპერიცაა, დროულად მიუხვდა ჯიმის ჩანაფიქრს და მარცხენა მაღალი კუთხიდან მოიგერია ბურთი... თვით პორტუგალიის ამომავალმა ვარსკვლავმა, 20 წლის ნუნიუ გომეშმა მაღალი შეფასება მისცა თბილისელთა თამაშს. განსაკუთრებით, თურმე, მას №2 მოეწონა (კარლო კალაძე — რედ.), რომელთანაც უშუალო დუელი ჰქონდა...

„ბოავიშტას“ კარში 11-მეტრიანიდან ბურთი გააქვს კახი გოგიჩაიშვილს

მეკარე ალფრედო, რომლისთვისაც ეს სეზონი ბოლოა (იგი თავს ანებებს ფეხბურთს და საექიმო პრაქტიკას მოჰკიდებს ხელს), დაღლილი ჩანდა: „სამუშაო ბევრი მქონდა, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში სულ სხვა თამაში იქნება — დაგვემატება ტიმოფტე, მაყურებელიც მხარს დაგვიჭერს და ჩვენი შანსები გაცილებით გაიზრდება...

თვითმფრინავში, სამშობლოში რომ ვბრუნდებოდით, ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, ფილიპოვიჩის დავალებით ალბერ ბრაგა („ბოავიშტას“ კლუბის გენერალური მდივანი — რედ.) მოლაპარაკებას აწარმოებდა „დინამოს“ ორი ვარსკვლავის გოგიჩაიშვილის და ჯამარაულის „ბოავიშტაში“ შესაძლო გადასვლის შესახებ, მაგრამ თბილისელებს გაგონებაც კი არ უნდათ ამის შესახებ...“

გაზეთი *„ლიბერტი“* ბეჭდავს ინტერვიუს „ბოავიშტას“ დირექტორ სენიორ ანტონიო ბრაგასთან. ბრაგა მაღალ შეფასებას აძლევს განვლილ მატჩს და თვლის, რომ განმეორებითი შეხვედრაც არანაკლებ საინტერესო და მიმზიდველი იქნება და ურჩევს მაყურებელს ახლავე იზრუნოს „ესტადიო დუ ბესაზე“ დასასწრებ ბილეთებზე. „დინამოში“ მრავალი კარგი ფეხბურთელი თამაშობს, ერთ-ერთი კი, ჯამარაული, ექსტრა-კლასის მოთამაშეა, და ფეხბურთის სპეციალისტებს ვურჩევ ყურადღება მიაქციონ მათ... თბილისში ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია, მრავალი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. პორტუში ღმერთი, აუცილებლად გადმოგვხედავს.“

„საკუთარ მინდორზე „ბოავიშტა“ უფრო აგრესიული იქნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველამ უაზროდ შევუტიოთ და მეტოქეს კონტრშანსები მივცეთ. თბილისში ჩვენ საუკეთესოდ ვითამაშეთ, პორტუში უფრო ყურადღებით უნდა ვიყოთ“ — ამბობს პორტუგალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი მანუელ მაია გაზეთ *„სპორტში“* მიცემულ ინტერვიუში და სთხოვს „პორტუს“ საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელებს ჯენტლმენურად ეთამაშონ „ბოავიშტას“ პორტუგალიის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩში, რომელიც შაბათს, 19 ოქტომბერს გაიმართება. „არც „პორტუს“ და არც „ბოავიშტას“ ახლა ტრავმირებული ფეხბურთელები არ სჭირდება — წინ ევროპის საკლუბო ტურნირებია! ჟარდელისა და გომეშისთანა მოთამაშეებს გაფრთხილება სჭირდებათ!“

«კაპა» – საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია: ვინ არის მართალი?

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იტალიური სპორტული ფირმა „კაპადან“ მოვიდა შემაშფოთებელი წერილი, რომელშიც იტალიელები სფფ-ს სპონსორობის კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებდნენ და სარჩელის შეტანით იმუქრებოდნენ.

სფფ-ის იურიდიული სამსახურის უფროსის ლევან გორხელაშვილის მტკიცებით, იტალიელთა ბრალდებები უსაფუძვლოა. სპორტულ ნაწარმთა მწარმოებელ ფირმა „კაპასთან“ ფედერაციამ მხოლოდ განზრახულობათა ოქმი გააფორმა, რომელიც არავითარ იურიდიულ ვალდებულებას არ ითვალისწინებს. თვით კონტრაქტი კი არ გაფორმებულა.

იტალიელებმა წლის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს აპრობაციისათვის მხოლოდ ერთი წყვილი სპორტული ფორმა გამოუგზავნეს, მაგრამ ჩვენებს მისმა ხარისხმა არ დააკმაყოფილა და, ბუნებრივია, „კაპასთან“ ურთიერთობა აღარ გაგრძელებულა.

როგორც გაირკვა, სფფ-ის ტექნიკური სპონსორი უწინდელივით გერმანული ფირმა „ადიდასი“ იქნება – მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებს საქართველოს ეროვნული ნაკრები ამ ფირმის მაისურებში ჩაატარებს.

ქართველი ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებნენ

როგორც „ლელო“ იუწყებოდა, საქართველოს 18 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები ბულგარეთს გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საასპარეზოდ (საქართველო, ბულგარეთი, სომხეთი).

ჩვენებმა უკვე ჩაატარეს პირველი შეხვედრა — 15 ოქტომბერს ისინი მასპინძელთა ნაკრებს შეხვდნენ და ფრედ, 2-2 ითამაშეს. 19-ში ქართველები სომხებს ეთამაშებიან.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. პირველი ჯგუფი

რა მოხდა ბოლნისში?

„სიონი“ – „კოლხეთი-1913“-ის მატჩის საბოლოო შედეგს სტუმრები აპროტესტებენ

XI ტურის შედეგები და გუნდების სატურნირო მდგომარეობა „ლელომ“ ოპერატიულად გააცნო მკითხველს. „სიონი“ (ბოლნისი) – „კოლხეთი-1913“ (ფოთი)-ს მატჩი, როგორც იცით, ბოლნისელთა გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 2-1. მაგრამ გაირკვა, რომ სტუმრებს შეხვედრის შედეგი გაუპროტესტებიათ.

თურმე, ფოთელთა მტკიცებით, მაყურებელთა მხრიდან მსაჯებზე იყო ზეწოლა. როდესაც პირველი ტაიმის დამთავრებამდე 7 წუთი რჩებოდა, მოედანზე მასპინძელთა ნასვამი გულშემატკივარი გამოვარდნილა (ამ მომენტისათვის სტუმრები მინიმალური ანგარიშით იგებდნენ) და შეხვედრის არბიტრ ელგუჯა სილაგავაზე გაუწევია ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით.

რის ვაივაგლახით, მასპინძელთა გუნდის მწვრთნელების დახმარებით, მოხერხდა ხულიგანი მაყურებლის მოედნიდან გაყვანა. მატჩი შეწყვეტილი იყო დაახლოებით 3-4 წუთით.

როგორც ფოთელთა მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია ამტკიცებს, ამ ფაქტმა დამთრგუნველად იმოქმედა გუნდის წევრებზე. ისინი მეორე ტაიმში მინდორზე გამოსვლასაც კი არ აპირებდნენ – მაინც წაგვაგებინებენო...

მოკლედ, ასეა თუ ისე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს ამ ფაქტზე. თუ დადგინდა, რომ ინციდენტმა შედეგზე იმოქმედა, მაშინ, წესების თანახმად, „სიონს“ წაგება უნდა ჩაუთვალონ, ხოლო სტადიონს დისკვალიფიკაცია ემუქრება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მატჩის შედეგი უცვლელი დარჩება და ფოთელები იმ 500 ლარს დაკარგავენ, გაპროტესტებისათვის რომ შეიტანეს სფფ-ის ანგარიშზე.

„ნახვამდის, საკი!“

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდთან ერთობ უფერული და ნაკლებად დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, იტალიაში ახალი ძალით იფეთქა უკმაყოფილების ტალღამ. ინფორმაციის საშუალებები და გულშემატკივრები კატეგორიულად ითხოვენ მწვრთნელის, არიგო საკის გადადგომას.

„ლა კორიერე დელა სპორტმა“ დაბეჭდა საკმაოდ მწარე სტატია არაორაზროვანი სათაურით: „ნახვამდის, საკი! ეს არის ეპოქის დასასრული“. საქართველოს გუნდთან მატჩის შემდეგ „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა:

„ჩვენ გადაგვარჩინა ტოლდომ“ გაზეთი მადლობას უხდის მეკარეს ბრწყინვალე თამაშისთვის. ამ შეხვედრის შემდეგ მწვრთნელი მოედანს ტოვებდა უკმაყოფილო გულშემატკივრების გამაყრუებელი სტვენის ქვეშ და პოლიციელთა თანხლებით.

თავად საკი მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე. არ აპირებს არსად წასვლას და აცხადებს, რომ მწვრთნელის თანამდებობა არ არის პოპულარული. „მწამს გუნდისა და იმ ფეხბურთელების, რომლებიც ამ გუნდში თამაშობენ, — თქვა მან „ფრანს პრესის“ სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში. ყველასთან საუკეთესო ურთიერთობა მაქვს და სანამ ასეთი ურთიერთობაა გუნდში, პრობლემებს ვერ ვხედავ“.

სხვათა შორის, საქართველოს გუნდთან მატჩში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო ნახევარმცველმა ანტონიო კონტემ. როგორც ექიმები ამბობენ, „იუვენტუსის“ მოთამაშე ნახევარ წელიწადს ვერ ჩადგება მწყობრში.

დღის წესრიგშია სასოფლო სპორტსაზოგადოების აღდგენა

„მიყვარხარ და გასახელებ საქართველოს ფალავნად“

მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სპორტის შესახებ“, შეიქმნა იურიდიული საფუძვლები განახლებული ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად ამ სფეროში მუშაობის გარდასაქმნელად. კანონში მთავარი ყურადღება გადატანილია მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის შემდგომი განვითარების რეალური საფუძვლების შექმნაზე. ხოლო სპორტულმა საზოგადოებებმა და კლუბებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ამ სახემწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრაში. და აი, დღის წესრიგში დგება ჩვენს ქვეყანაში სასოფლო სპორტული საზოგადოების აღდგენის საკითხი. საინიციატივო ჯგუფს უკვე წესდებაც მოუმზადებია და სახელიც მოხდენილი, აზრის დამტევი შეურჩევია — „უშბა“.

„ჰე, სოფელო, დაგიკოცნი მამაპაპურ ქალამანს. მიყვარხარ და გასახელებ საქართველოს ფალავნად“.

ამბობს ერთ თავის ლექსში ჩვენი საამაყო პოეტი შოთა ნიშნიანიძე. მართლაც, სოფელი საქართველოს ფალავანია საერთოდაც და ფალავნობაშიც, ზოგადად სპორტში. ჩვენი ქვეყნის ყველაზე გამოჩენილ სპორტსმენთა აბსოლუტური უმრავლესობის გზა სწორედ სოფლიდან დაიწყო და მერე გავიდა მსოფლიო არენაზე. „ლელოს“ რედაქცია გულდასმით გაეცნო „უშბას“ წესდებას და მიესალმება შესანიშნავ თაოსნობას. მეტიც, ჩვენ ვაცხადებთ სრულ მხარდაჭერას და მზად ვართ, გავხდეთ ამ სპორტსაზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი.

გვექნება საჭადრაკო ლიცეუმი

ოდითგანვე ჭადრაკს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართველი კაცის ყოფა-ცხოვრებასა და ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებაში. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, ქართველი ქალებისათვის მზითვად ჭადრაკის გატანების ეროვნული ტრადიცია. სიმბოლურია, რომ სწორედ ქართველმა ქალებმა გაუთქვეს სახელი ჭადრაკსაც და ჩვენს ქვეყანასაც. •

სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების საერთო გაჭირვებამ უარყოფითი როლი ითამაშა ჭადრაკის განვითარებაზეც. მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური სტაბილიზაცია იმის იმედს იძლევა, რომ ეს უძველესი და ბრძნული თამაში, რომელსაც სრულიად სამართლიანად, ხელოვნების სფეროსაც აკუთვნებენ. კვლავ აღორძინდება და მსოფლიო რანგის ახალ-ახალი ქართველი დიდოსტატები ასახელებენ ჩვენს ქვეყანას. ამისათვის მკვიდრ საფუძველს იძლევა საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაინტერესება და აქტიური ჩარევა ჭადრაკის პრობლემების გადაწყვეტაში, რაც პრეზიდენტის სპეციალურ დადგენილებაშიც აისახა.

ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვან სპეციალისტებმაც და მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიამ გადაწყვიტა აკადემიის ჭადრაკის სპეციალობის ბაზაზე შექმნას ბავშვთა და მოზარდთა დაოსტატების „ჭადრაკის ლიცეუმი“. მას უხელმძღვანელებს ქართული ჭადრაკის დიდი მოამაგე, ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო არბიტრი და ოსტატი თენგიზ გიორგაძე.

„ჭადრაკის ლიცეუმში“ თანამშრომლობისათვის მოწვეული იქნებიან კვალიფიცირებული სპეციალისტები. სალექციო-თეორიულ და სასემინარო მუშაობასთან ერთად, სასწავლო-მეთოდური პროგრამით გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო ტურნირების ჩატარება, აგრეთვე, ინდივიდუალური და გუნდური შეჯიბრებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„ჭადრაკის ლიცეუმის“ მუშაობა წარიმართება სამი სხვადასხვა სასწავლო პროგრამით:

1. დამწყები – ბავშვებისათვის ჭადრაკის ანბანისა და ძირითადი სადებიუტო რეპერტუარების შესასწავლად.

2. დაბალი თანრიგის (III და II კატეგორიები) მოჭადრაკეთა დაოსტატების ჯგუფები, სადაც სასწავლო პროცესი წარიმართება როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური სწავლების პრინციპით.

3. მაღალი თანრიგის (I კატეგორია) მოჭადრაკეები, სადაც მუშაობა წარიმართება უპირატესად ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით.

სამივე ტიპის ჯგუფებში მეცადინეობა იწარმოებს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი სასწავლო-მეთოდური პროგრამით. ლიცეუმის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი საჭადრაკო პროგრამებით და ლიტერატურით.

განზრახულია, რომ ლიცეუმთან ფუნქციონირებდეს მუდმივ-მოქმედი სემინარები რაიონებში მცხოვრები პერსპექტიული ბავშვებისათვის. მათთვის მოეწყობა მეთოდური ხასიათის რეგულარული საკონსულტაციო სემინარები.

„საჭადრაკო ლიცეუმში“ მსმენელები მიიღებიან ასაკის შეუზღუდავად. თანრიგოსანი მოჭადრაკეებისათვის მოეწყობა გასაუბრება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართით: ჭავჭავაძის პროსპექტი 49, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, III სართული, „ჭადრაკის მეთოდ-კაბინეტი“.

ტელეფონი, დღის საათებში: 29-93-37.
საღამოს საათებში: 93-60-32.

ლიცეუმში მეცადინეობა დაიწყება ნოემბერში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

ახლახან რუსთავში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონები გახდნენ: ვახტანგ თოთლაძე (რუსთავი), ბექან ჩიხლაძე, ნესტორ ხერგიანი (ორივე — თბილისი), გიორგი ალიბეგაშვილი, ზურაბ დოლონაძე, გია კუთხაშვილი (სამივე — ქარელი), ზურაბ კოზმანაშვილი, ნუგზარ გაგნიშვილი და ლაშა ცხვარიაშვილი (სამივე — საგარეჯო). გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს საგარეჯოელებმა. საქართველოს ფალავანი გახდა ახმეტელი ალექსი დავითაშვილი.

სურათზე: საგარეჯოს გუნდი — საქართველოს 1996 წლის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში

რაჟდენ გაბრიჭიძის ფოტო

რეპლიკა

დაწერეთ, იყვირეთ, იჩივლეთ...

ფეხბურთში მსაჯობა ყველგან და ყოველთვის იწვევდა მეტნაკლებ უკმაყოფილებას, განსაკუთრებით იმ კლუბის ხელმძღვანელთა და გულშემატკივართა შორის, რომელმაც მარცხი განიცადა. არ ვამტკიცებთ, რომ, ვინც ხმას იმაღლებს, ყველა მტყუანია, ყველამ ვიცით, რა სავალალო შედეგები მოჰყოლია არბიტრთა ნებსით თუ უნებლიე შეცდომებს. ის კი არა, მსაჯები ქრთამის აღებაშიც უმხილებიათ, ზოგჯერ სანქციები იმ არბიტრთა მიმართ გაუტარებიათ, რომლებიც, უბრალოდ, შეცდნენ. ასეთ სასჯელს კი ისინი, პირველ ყოვლისა, დაბალი კვალიფიკაციის გამო იმსახურებენ. არაერთი მსაჯი საერთოდაც ჩამოუშორებიათ ფეხბურთიდან.

ეს შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ საფეხბურთო ცხოვრების ვნებები საქართველოში სხვებზე ნაკლები არაფრით არ არის. პირიქით, მოჭარბებულიცაა. ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატშიც, ცხადია, მეტად თუ ნაკლებად, მაინც არის ის, რაც მთელს საფეხბურთო სამყაროს აღაშფოთებს და სტკივა. მაგრამ ვართ კი ყოველთვის მართლები, როცა ერთ აურზაურს ვტეხთ და საქვეყნოდ გავყვირით, თითქოს ყველა სტუმარი გუნდი, ზოგჯერ მასპინძელიც უხეირო, სულაც „ნაწყობილი“ მსაჯობით იჩაგრება?

ქვეყანას რომ რაღაც სასიკეთო დაეტყო, იქიდანაც ჩანს, რომ გასულ წლებში თუ მთელი თორმეტი თვე სულაც სრული საფეხბურთო სეზონი ისე მიიწურებოდა, რედაქციაში ფოსტალიონი ერთ წერილსაც არ მოიტანდა, ახლა ძველი დრო გვახსენდება, კვლავ ვიღებთ ბარათებს, მეტწილად საჩივრებს და მოჭარბებულად ფეხბურთის თემაზე.

რას ითხოვენ, რა სურთ ავტორებს ანუ ფეხბურთის გულშემატკივრებს? მოკლედ ვიტყვით: უჩივიან მსაჯებს!

ასეთ წერილებს გაზეთში არ ვაქვეყნებთ ერთი უბრალო მიზეზის გამო – არ გვინდა იაფფასიან სენსაციას გამოვედევნოთ. არ გვინდა იმიტომ, რომ ასეთი პუბლიკაციის შემდეგ უთუოდ გამტყუნდება წერილის ავტორიც და რედაქციაც. თუ როგორ, ამასაც მოგახსენებთ. დავუშვათ გამოვაქვეყნეთ კრიტიკული წერილი იმის თაობაზე, რომ ფოთში, ქუთაისში, ზესტაფონში, ზუგდიდში თუ სხვაგან გამართული თამაში, ამა თუ იმ მსაჯმა ცუდად იმსაჯა, აშკარად მიუდგა მასპინძელთა გუნდს, შესაძლოა მეტოქესაც. მერე, როგორ გგონიათ, ამით დამთავრდება ყველაფერი? ცხადია, არა. ის, ვისაც ბრალს სდებენ, თავს დაიცავს, აქეთ შემოგვედავება და მართალიც იქნება. არც სამსაჯო ოქმში, არც კომისრის მოხსენებაში სიტყვაც არ იქნება ნახსენები დარღვევაზე, მსაჯთა შეცდომაზე, მეტიც, ვითომდა მომჩივანს, პროტესტიც არ ექნება შეტანილი სადაც ჯერ არს.

ძნელი ამოსაცნობი არაა, თუ საიდან მოდის რედაქციაში ეს საჩივრები – შემკვეთებიდან, კლუბების ხელმძღვანელებიდან, ისინი აქეზებენ გულშემატკივრებს, ზოგჯერ კორესპონდენტებსაც, ხომ ხედავთ რა უმსგავსოებები ხდება, დაწერეთ, იყვირეთ, იჩივლეთ, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი ჩაგვრაო.

მართლაც, როდემდე უნდა გაგრძელდეს ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელთა მცდელობა თავისი ნაკლოვანებები სხვებს გადააბრალონ?

მიმომხილველი

შევარდნელები სიმაღლეებისკენ მიიწევენ

ჩვენს ძალოსანთა რიგებში პერსპექტიულ და ნიჭიერ სპორტსმენთა გამოჩენა ყოველთვის მომავლის იმედს უკავშირდება. ასეთია ტრადიცია. ამ დღეებში კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ძალოსნებმა და სპეციალისტები თვლიან, რომ კვლავ გამოჩნდა ახალი სახელები. განსაკუთრებით ეს ითქმის ალეკო ნოზაძეზე, რომელიც ანტალიაში გამართულ ზემოთ ხსენებულ ასპარეზობაზე 108 კგ-მდე წონით კატეგორიაში ატაცში პირველი იყო, აკვრაში — მეორე, ორჭიდში კი უძლიერესის სახელი მოიპოვა. ამავე შეჯიბრებაში, რომელიც იმავდროულად მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპიცაა, საქართველოს კიდევ ორი წარმომადგენელი ავიდა საპატიო კვარცხლბეკზე — თბილისელმა გიორგი ნუცუბიძემ (59 კგ) ყველას აჯობა ორჭიდში, ამასთან, აკვრაშიც და ატაცშიც არავის დაუთმო პირველობა. საჩხერელი კობა ალავიძე (64) კი ატაცშიც, აკვრაშიც და ორჭიდშიც მეორე იყო, კიდევ ერთმა თბილისელმა გიორგი კობალაძემ (99) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ორჭიდში (ატაცი — მეორე, აკვრა — მესამე). სამწუხაროდ, ნაკრების ორი მონაწილე თბილისელები მანველ მარქარიანი (70) და ზურაბ ავთანდილაშვილი (91) სამეულს მიღმა დარჩნენ. მანველი მეშვიდე ადგილზე დარჩა, ზურაბი — მეოთხეზე.

ალსანიშნავია, ჩვენი გუნდი ამჯერად სპორტკლუბ „შევარდენის“ წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. კლუბის დირექტორია დავით ხიზამბარელი.

დებიუტანტი
ალეკო ნოზაძე

დაიბადა 1976 წელს თბილისში.
წონა 99 კგ.
სიმაღლე 180 სმ.
სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წევრი
ძალოსნობაში მეცადინეობა დაიწყო გურამ ფარულავასთან.
საქართველოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში (1995) და მოზრდილებში (1996) ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობაზე 1995-96 წლებში ორჯერ მოიპოვა VI ადგილი.
ანტალიის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მსოფლიო თასის ეტაპიცაა ახლახან დაიკავა I ადგილი.
ამჟამად ემზადება ევროპის პირველობისათვის, რომელიც 4-9 ნოემბერს ჩატარდება ვარშავაში.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან

● **ჩოგბურთი.** სამთვიანი შესვენების შემდეგ, რაც ხელის ტრავმით იყო გამოწვეული, ბორის ბეკერმა მოიგო საერთაშორისო ტურნირი ვენაში. ფინალური ბრძოლა ჰოლანდიელ იან სიმერინკთან გერმანელმა ჩოგბურთელმა მოიგო 6:4, 6:7, 6:2, 6:3. ფილდერშტადტის (გერმანია) ქალაქ ტურინში გამარჯვებისათვის კი ახალგაზრდა შვეიცარიელმა მარტინა ხიგინსმა (ფინალში აჯობა გერმანელ ანკე ჰუბერს) დაიმსახურა ფულადი ჯილდო 79 ათასი დოლარის ოდენობით და ავტომანქანა „პორშე“.

● **რაგბი.** გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა 24 ნაკრები გუნდი. ფინალში კუნძულ ფიჯის რაგბისტებმა დაამარცხეს საფრანგეთის გუნდი (3&19) და პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

● **მძლეოსნობა.** ლოზანის საერთაშორისო მარათონში მონაწილეობა მიიღო 5 ათასზე მეტმა მორბენალმა. გამარჯვება წილად ხვდა ესპანეთში მცხოვრებ მაროკოელ სპორტსმენს მოჰამედ ფაჰდს, რომელმაც დისტანცია დაფარა 2:14.08-ში და 2.01-ით გააუმჯობესა ტანზანიელი საკტაის მიერ 1994 წელს დამყარებული ტრასის რეკორდი.

● **რალი.** მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებას ორი ეტაპი აკლია, მაგრამ გამარჯვებულის ვინაობა უკვე ცნობილია. ეს გახლავთ „მიცუბისის“ წარმომადგენელი, ფინელი ტომი მიაკინენი, რომელთანაც ფირმა, შეჯიბრების დამთავრებისთანავე ახალ, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

● **ძიუდო.** ავტოკატასტროფის შემდეგ ნელ-ნელა იშუშებს ჭრილობებს ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მძიმე წონაში, ფრანგი დავიდ დუიე. ეროვნული ნაკრების ექიმის განცხადებით მოჯიდავე თავს კარგად გრძნობს, მაგრამ წვრთნის დაწყებას მხოლოდ 5-6 კვირის შემდეგ შესძლებს.

● **ცხენოსნობა.** გაიმართა კონკურისტთა მსოფლიო თასის პირველი ეტაპი (ოსლო, ნორვეგია), რომელიც მოიგო ჰოლანდიელმა პიტ რეიმაკერსმა. მან და ახალგაზრდა გერმანელმა ცხენოსანმა ოტო ნაგელმა ძირითადი შეჯიბრება ერთნაირი შედეგით დაამთავრეს. ჰოლანდიელმა იმარჯვა დამატებით ცდაში.

1954 წელი. შეთქმულება თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ

საფეხბურთო ანომალიები

ანომალიები ფეხბურთში ხშირად იჩენს თავს, მაგრამ ასეთი სიტუაციები ზოგჯერ ჩემპიონატების დებულებების გაუმართაობით არის გამოწვეული, ზოგჯერ კი მსაჯთა არაობიექტურობის ან უხეში შეცდომების მიზეზით. ცნობილი სტატისტიკოსის აქსელ ვართანიანის მონაცემებით (ერთხანს იგი „ლელოს“ აქტიური თანამშრომელი იყო, ამჟამად კი მოსკოვში ცხოვრობს და იქაურ სტატისტიკოსთა „გუნდს“ თავკაცობს). 1938 წლის 23 ივნისიდან მოყოლებული სხვადასხვა მიზეზით გაუქმდა და ოფიციალური სტატისტიკის მიღმა დარჩა 150-მდე მატჩის შედეგი, რაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი თორმეტგუნდიანი ჩემპიონატის მოწყობას ეყოფოდა.

ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე ასეთი ანომალიის მაგალითს, რომლებიც, რაღაც კუთხით საქართველოს გუნდებს ეხება. ჯერ მათ შორის უმთავრესის შესახებ.

1953 წლის 14 ივნისს თბილისის „დინამო“ პირველი წრის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში, შინ მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვდა და დაამარცხა იგი დიდი ანგარიშით — 4-0 (გოლები გაიტანეს: კალოევმა, ვარდიმიადმა, ელოშვილმა და სიხარულიძემ).

განმეორებითი, უფრო სწორად, მეორე წრის მატჩი გაიმართა მოსკოვში 4 სექტემბერს და ისიც დინამოელებმა მოიგეს — 2-1. ეს გამარჯვება ჩვენს ფეხბურთელებს, ფაქტობრივად, უხსნიდა გზას ჩემპიონობისაკენ, რაც, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა არც სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის მაშინდელი მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას და არც ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას, რომლებსაც უკვე ჰქონდათ აღებული კურსი მოსკოვის „სპარტაკზე“ და ყველა საშუალებებით ცდილობდნენ ამ გუნდის „გაჩემპიონებას“.

და მოხდა საზიზღარი შეთქმულება ჩვენი გუნდის წინააღმდეგ: გაუქმდა მეორე შეხვედრის შედეგი, დაინიშნა იქვე მესამე მატჩი, რომელიც ხელჩაქნეულმა დინამოელებმა წააგეს.

საინტერესოა ამ მოვლენასთან დაკავშირებული პოზიცია გაზეთ „სოვეტსკი სპორტისა“, რომელსაც არც მაშინ და არც მერე არ უცდია ხმა აემაღლებინა უსამართლობის წინააღმდეგ.

„სამი დღის მანძილზე გუნდები ორჯერ გამოვიდნენ მინდორზე. პირველმა შეხვედრამ, რომელიც გაიმართა 4 სექტემბერს, ვერ გამოავლინა გამარჯვებული მიუხედავად იმისა, რომ მსაჯმა პ. ბელოვმა (ლენინგრადი) დააფიქსირა ანგარიში 2-1 თბილისელთა სასარგებლოდ. ამ მატჩის შედეგს ორთავე გუნდისათვის ჰქონდა მნიშვნელობა და სწორედ ამან განაპირობა კიდეც ბრძოლის ხასიათი. გასაგებია, რომ თამაში მიმდინარეობდა მძაფრად, ზოგჯერ უხეშადაც კი. ბელოვმა ვერ უზრუნველყო მატჩის ნორმალური მსვლელობა და ვერ აღკვეთა ცალკეულ ფეხბურთელთა უხეში გამოხდომები. მეტიც, მსაჯმა დაუშვა სერიოზული შეცდომები, რომლებმაც გავლენა იქონია შედეგზე.

ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ განიხილა ტორპედოელთა პროტესტი, მიიჩნია იგი დასაბუთებულად და გადაწყვიტა დაენიშნათ გადათამაშება. მსაჯების — პ. ბელოვისა და პ. შირიაევის მიმართ მთავარი სამმართველო საყვედურით შემოიფარგლა, ვინაიდან ასეთი შეცდომები მათ მრავალწლიან პრაქტიკაში პირველად დაფიქსირდა. უხეშობისათვის სერიოზულად გააფრთხილეს ანთაძე და ელოშვილი, აგრეთვე ტორპედოელი საფრონოვი. მთავარმა სამმართველომ აღნიშნა „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაციის უპასუხისმგებლობა, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო ელემენტარული წესრიგი სტადიონზე. დირექციას წინადადება მიეცა არ დაუშვას უწესრიგობა შემდგომში, თამაშის დროს.“

განმეორებით შეხვედრაზე დაინიშნა ასეთი შემთხვევებისათვის ზედგამოჭრილი და თბილისის დინამოელებისათვის ყოვლად მიუღებელი მსაჯი ნიკოლაი ლატიშევი, რომელმაც გაზეთის ანგარიშის მიხედვით კარგად იმსაჯა. სხვათა შორის, ლატიშევი ყოველი შემთხვევისათვის სპარტაკელთა ბოლო მატჩის მსაჯადაც დანიშნეს ლენინგრადის „ზენიტთან“, რომელიც, ცხადია, მოსკოველმა ფეხბურთელებმა მოიგეს — 1-0.

თბილისელი ფეხბურთელები ამ შეხვედრაზე, ბუნებრივია, ხელჩაქნეული გამოვიდნენ. ცხადი იყო, რომ მოსკოვიდან გამარჯვებას მათ არავინ გაატანდა. ჩემპიონის ადგილი „სპარტაკისათვის“ უკვე განაწილებული აღმოჩნდა.

პირველ ტაიმში ივანოვმა და ზოლოტოვმა, ვითომც მანამდე არაფერი მომხდარა, თითო გოლი გაიტანეს. შესვენების შემდეგ ღოღობერიძემ ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ სოლოვიოვმა და მალოვმა ანგარიში ოთხამდე გაზარდეს.

„სოვეტსკი სპორტის“ ანგარიშში რამდენი სიტყვაცაა, იმდენი, რბილად რომ ვთქვად, უზუსტობაა გადმოფრქვეული. ჯერ ერთი, ოთხი სექტემბრის მატჩმა სწორედ რომ გამოავლინა გამარჯვებული და ეს იყო თბილისის „დინამო“, რომელმაც მოიგო შეხვედრა ანგარიშით 2-1. შემდეგ, თუ მსაჯებმა პ. ბელოვმა და პ. შირიაევმა ისეთი მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, რომ გადათამაშება გახდა აუცილებელი, რატომ შემოიფარგლა პატივცემული ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველო ასეთი რბილი განაჩენით? ასევე სიყვარულით დაიტუქსა „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაცია, რომელმაც ვერ (ან არ) აღკვეთა დაგეგმილი მასობრივი ხულიგნობა, რომელიც მერე, სამმართველოს მყუდრო კაბინეტებში, გადათამაშების მთავარი მიზეზი უნდა გამხდარიყო. „სოვეტსკი სპორტმა“ მხოლოდ ერთი რამ აღნიშნა სწორად. მატჩის შედეგს ორთავე გუნდისათვის ჰქონდა მნიშვნელობაო, მაგრამ აქაც მცირე უზუსტობა დაუშვა. მნიშვნელობა ჰქონდა ორი კი არა, სამი გუნდისათვის და სწორედ ამ მესამის (მოსკოვის „სპარტაკის“) საჩემპიონო პრეტენზიები იყო მთავარი.

ახლა ვნახოთ რას წერს აღნიშნული მატჩის შესახებ მოსკოველი ჟურნალისტი მარტინ მერჟანოვი თავის საკმაოდ გახმაურებულ და ობიექტურობით გამორჩეულ წიგნში „ერთხელ კიდევ ფეხბურთის შესახებ“.

„ძნელი სათქმელია, რომელი იყო ამ გუნდთაგან უფრო ძლიერი იმ სეზონში (მერჟანოვი ლაპარაკობს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკზე“). „სპარტაკის“ დაცვა გააძლიერა ყოფილმა არმიელმა, ბრწყინვალე ცენტრალურმა მცველმა ბაშაშკინმა, ტატუშინის გამოჩენით ახლებურად ათამაშდნენ თავდამსხმელები. ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ და უეჭველად უძლიერეს წყვილს წარმოადგენდნენ ნახევარმცველები ტიმაკოვი და ნეტო. მაგრამ თბილისელებსაც ჰყავდათ შესანიშნავი მეკარე მარღანია, ჩინებული ნახევარდაცვა კოტრიკაძე და მახარაძე, ძმები გაგნიძეები და ტექნიკური, ჭკვიანი ტაქტიკოსი, შეტევების ლიდერი ღოღობერიძე.

და, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა მათი მეტოქეობა თუ არა შემთხვევა, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულეს... ხულიგნებმა.

დედაქალაქის ავტოქარხნელთა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა მიმდინარეობდა. თამაში დაძაბული იყო. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთელთათვის, რომელიც სპარტაკელთა თანაბრად მიდიოდნენ.

მაშინ, როცა ანგარიში იყო 2-1 ქართველ ოსტატთა სასარგებლოდ, მათს კარში გავიდა ბურთი, რომელიც გამოცდილმა ლენინგრადელმა მსაჯმა არ ჩათვალა, ვინაიდან თამაშგარე მდგომარეობიდან იყო გატანილი. მაგრამ მაყურებლები არ დაეთანხმნენ ასეთ გადაწყვეტილებას და წარმოუდგენელი სტვენა ატეხეს... სამხრეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებიდან ხულიგანთა დიდი ჯგუფი გადაეშვა მინდორზე... მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა წესი „მასპინძელთა“ პასუხისმგებლობის შესახებ და ტორპედოელებს წაგება არ ჩაეთვალათ.

საჭირო გახდა მატჩის გადათამაშება. გულგატეხილმა თბილისელებმა წააგეს დიდი ანგარიშით — 1-4, ხოლო „სპარტაკი“ გახდა... ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, გაუსწრო რა ქართველ ფეხბურთელებს ორი ქულით, სწორედ იმ ორი ქულით, რომელიც მაყურებელთა ხულიგნური მოქმედებით გაუქმდა.“

როგორც ხედავთ, არც ერთი სიტყვა მსაჯთა შეცდომებზე, არც ერთი სიტყვა უხეშობაზე, რომელიც ვერ აღიკვეთა.

ორიოდე სიტყვა იმაზე თუ რას წარმოადგენდა ქართული ფეხბურთი იმ წლებში და აქედან გამომდინარე იყო თუ არა ჩემპიონობის ღირსი თბილისის „დინამო“.

1953 წელს დინამოელებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

თბილისის „სპარტაკმა“ „ბ“ კლასის პირველ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა (მწვრთნელი არჩილ კიკნაძე) მოზარდთა საკავშირო პირველობა მოიგო.

კოლმეურნე ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ვიქტორ ბერეჟნოი) სოფლის სპორტსმენთა საკავშირო გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავეს.

„ნორჩი დინამოელი“ (მწვრთნელი გრიგოლ გაგუა) საზოგადოების საკავშირო პირველობის ჩემპიონი გახდა.

სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ საკავშირო პირველობაში უძლიერესი იყო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდი (მწვრთნელი სერგო სიხარულიძე).

და ბოლოს, „მედიკის“ საკავშირო პირველობა საქართველოს პირველმა ნაკრებმა მოიგო (მწვრთნელი კოტე მესხი).

ახლა სხვა, უფრო ობიექტურ, მაგრამ მაინც ანომალიურ ფაქტებზე:

საკავშირო ჩემპიონატების საერთო მაჩვენებლებში არ არის შეტანილი 29 შედეგი იმის გამო, რომ სხვადასხვა წელს, სხვადასხვა მიზეზით (მაგრამ საკავშირო ფედერაციის აშკარა უთავობით) გათამაშებიდან მოიხსნა სამი გუნდი. მათ შორის ერთ-ერთი თბილისის „ლოკომოტივი“ იყო. 1940 წლის სეზონში გუნდს უკვე ჩატარებული ჰქონდა 20 შეხვედრა. ასე რომ, იგი მოხსნეს, ფაქტობრივად, ზედ ფინიშზე, როცა ექვსი მატჩიღა ჰქონდა სათამაშო.

იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო მატჩის გაგრძელება, მსაჯებმა შეწყვიტეს სამი მატჩი სტალინგრადის „ტრაქტორი“ — მოსკოვის ვვს-ი (1947 წელს), ცსკა — კიევის „დინამო“ (1960 წელს) და თბილისის „დინამო“ — ერევნის „სპარტაკი“ (1961 წელს). მოგვიანებით ვვს-ს, ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ დამარცხება ჩაუთვალეს.

1940 წელს დააკმაყოფილეს მოსკოვის „მეტალურგის“ პროტესტი თბილისის „დინამოსთან“ (2-3). განმეორებითი მატჩიც თბილისელებმა მოიგეს, თანაც უკეთესი სხვაობით 3-1.

1976 წელს თბილისის „დინამო“ დამარცხდა კიევში იქაურ თანაკლუბელებთან (0-1). მაგრამ ეს შედეგი გაუქმდა და უკრაინელ ფეხბურთელებს დამარცხება ჩაეთვალათ, ვინაიდან შემადგენლობაში ჰყავდათ ფეხბურთელი, რომელიც განაცხადში არ იყო შეყვანილი.

დაბოლოს, კიდევ ერთი კურიოზული მატჩის შესახებ, რომელიც საკავშირო ფედერაციის კიდევ ერთ უთავობაზე მიგვანიშნებს.

1974 წელს გაუქმდა მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის შედეგი (0-0) იმის გამო, რომ ორთავე გუნდის წარმომადგენლები მატჩისშემდგომ თერთმეტმეტრიანებს განგებ უზუსტოდ ურტყამდნენ. ეს ფაქტი გარკვეულ განმარტებას საჭიროებს.

1973 წელს საკავშირო ფედერაციამ ერთი უკბილო სიახლე შემოიღო — მატჩის ძირითად დროში ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ ინიშნებოდა პენალტების სერია. ქულას იღებდა ის, ვინც 11-მეტრიანებს უკეთ შეასრულებდა. სეზონის ბოლოს ეს წესი უარყოფითად შეაფასა ყველამ — სპეციალისტებმაც, მწვრთნელებმაც, ჟურნალისტებმაც და თავად ფეხბურთელებმაც, საერთო აზრის თანახმად, წესი უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ ფედერაციამ მოიკლა თავი და თავისი პირმშო ძალაში დატოვა, ოღონდ ერთი ცვლილება დაამატა: თუ პენალტების შემდეგაც დაფიქსირდებოდა ფრე, გუნდები თითო ქულას მიიღებდნენ. თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ სწორედ 2-2-ზე შეთანხმდნენ და დებულებით გათვალისწინებული თითო ქულა მიიღეს.

ამ გამჟღავნებულ სისულელეზე რეაქცია მწვავე იყო და, როგორც მოგახსენეთ, შედეგი გაუქმდა. გაუგებარი იყო მხოლოდ ერთი რამ: რატომ იყარეს ჯავრი მაინცდამაინც ამ გუნდებზე, როცა მანამდე, მატჩისშემდგომი პენალტების სერია სამჯერ დამთავრდა უშედეგოდ და გუნდებმა დებულებით გათვალისწინებული თითო ქულა მიიღეს. ცხადია, ეს აბსურდული წესიც გაუქმდა, ოღონდ მოგვიანებით და დიდი გულისტკივილით...

ნოდარ გუგუშვილი

ფორმულა - 1

...და მაინც, დემონ ჰილი

„იაპონიის გრან პრი“ სუძუკის ტრასაზე წლევანდელი, რიგით 47-ე „ფორმულა-1“-ის ბოლო დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო. იაპონიის დიდი პრიზის გათამაშებას მხოლოდ ერთი კვანძი, ერთი ინტრიგა ჰქონდა: რბოლის ერთპიროვნულ ლიდერს დემონ ჰილს როგორმე ქულა უნდა აეღო და... მსოფლიოს ჩემპიონის სახელი გარანტირებული ექნებოდა. ჰილმა ერთი ათად, თუ მეტით არა, გადააჭარბა თავის ამოცანას და საერთოდ მოიგო იაპონიის დიდი პრიზი.

მაშ ასე, 1996 წლის 13 ოქტომბერს სუძუკის ავტოდრომმა დაასახელა მსოფლიოს ოცდამეხუთე ჩემპიონი „ფორმულაში“. 36 წლის დემონ ჰილმა, 1962 და 68 წლების მსოფლიო ჩემპიონის გრეჰემ ჰილის ვაჟმა პირველად თავის ცხოვრებაში მოიპოვა ეს დიდი გამარჯვება გუნდისათვის, რომლის წევრი მომავალ სეზონში აღარც იქნება. 1997 წლის სეზონს „უილიამს-რენოს“ ტრიუმფატორი წლევანდელი ჩემპიონატის აუტსაიდერის — „ეროუზის“ შემადგენლობაში გაატარებს.

XVI ეტაპი. „იაპონიის გრან პრი“. ავტოდრომი „სუძუკი“, 304,718 კილომეტრი. 1. დემონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამს-რენო“) — 1:32.33,791. საშუალო სიჩქარე — 197,520 კილომეტრი საათში; 2. მიჰაელ შუმახერი (გერმანია, „ფერარი“) — ჩამორჩენა 1,883; 3. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი“) — ჩამორჩენა — 3,212.

საბოლოო შედეგები (16 ეტაპის ჯამში): 1. დემონ ჰილი — 97; 2. ჟაკ ვილნევი („უილიამს რენო“) — 78; 3. მიჰაელ შუმახერი — 59; 4. ჟან ალეზი („ბენეტონ რენო“) — 47; 5. მიკა ჰაკინენი — 31; 6. გერჰარდ ბერგერი („ბენეტონ-რენო“) — 21; 7. დევიდ კულტჰარდი („მაკლარენ-მერსედესი“) — 18; 8. რუბენს ბარიკელო („ჯორდან პეჟო“) — 14; 9. ოლივიე პანისი („ლიჟიე — მიუგენ ჰონდა“) — 13; 10. ედი ირვინი („ფერარი“) — 11; 11. მარტინ ბრანდლი („ჯორდან პეჟო“) — 8; 12. ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი („ზაუბერ-ფორდი“) — 7; 13. მიკა სალო („ტირელ-იამახა“) — 5; 14. ჯონი ჰერბერტი („ზაუბერ ფორდი“) — 4. 15. პედრო პაულუ დინიცი („ლიჟიე მიუგენ ჰონდა“) — 2. 16. იოს ფერსტაპენი („ეროუზ-ჰარტი“) — 1.

კონსტრუქტორთა თასი. 1. „უილიამსი“ — 175 ქულა; 2. „ფერარი“ — 70; 3. „ბენეტონი“ — 68; 4. „მაკლარენი“ — 49; 5. „ჯორდანი“ — 22; 6. „ლიჟიე“ — 15; 7. „ზაუბერი“ — 11; 8. „ტირელი“ — 5; 9. „ეროუზი“ — 1.

დემონ ჰილი

ამერიკელებს ქართველი სპორტსმენები აინტერესებთ

დეივიდ საროენსი ცნობილი ამერიკელი სპორტული აგენტია. იგი სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, რათა დასწრებოდა საკალათბურთო და საფეხბურთო მატჩებს და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სპორტსმენი მოეწონებოდა, შეეთავაზებინა პოპულარულ საზღვარგარეთულ კლუბებში გადასვლა. სიმართლე გითხრათ, მასთან რომ ვსაუბრობდით, ორმაგი გრძნობა დაგვეუფლა: ჯერ ერთი, მისასალმებელია, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც დაეხმარება ქართველ სპორტსმენებს კარიერის გასაგრძელებლად შეარჩიონ საზღვარგარეთული კლუბები. მეორეს მხრივ კი სინანულით ვფიქრობდით — გაუსაძლისი ეკონომიკური პირობების გამო სულ უფრო მეტი მოთამაშე ტოვებს ქართულ გუნდებს და მეორეხარისხოვან საზღვარგარეთულ კოლექტივებში გადადის...

● *ბატონო დეივიდ, თუ რა მიზნით ჩამობრძანდით საქართველოში, ცნობილია. ვიცით, მეტად დატვირთული დღე გქონდათ...*

— დიახ, თქვენს ქალაქში საერთაშორისო დონის ორი ასპარეზობა გაიმართა და ორთავეს დავესწარი. ჯერ ინტერესით ვადევნებდი თვალს კალათბურთში ევროპის თასის გათამაშების შეხვედრას „ვითასა“ და იუგოსლავიის „ბუდუჩნოსტს“ შორის...

● *მოგეწონათ ვინმე?*

— ქართველებიდან — ნაცვლიშვილი და ქარაბაკი. მინდა შევხვდე „ვითას“ კლუბის ხელმძღვანელობას და გავიგო მათი აზრი ამ კალათბურთელების რომელიმე ამერიკულ სტუდენტურ კლუბში ჩარიცხვის თაობაზე.

კალათბურთელთა მატჩის შემდეგ გავემართე სტადიონისკენ, სადაც თქვენი „დინამო“ პორტუგალიის გუნდს ეთამაშებოდა.

● *როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე „დინამომ“?*

თუ დაადგით თვალი ქართველ ფეხბურთელებს?

— ო, ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა. ასეთი ტექნიკური მოთამაშეები ორთავე მოპაექრე გუნდში რომ არიან, ნებისმიერ ცნობილ კლუბს დაამშვენებდა.

ქართველებიდან მომეწონა ჯამარაული, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე. კიკნაძეს პირადად უკვე შევხვდი. დღეს-ხვალ მინდა ვესაუბრო ჯამარაულსა და გოგიჩაიშვილს. რასაკვირველია, დაველაპარაკები „დინამოს“ მენეჯერებსაც.

● *პირდაპირ გეტყვით, ბატონო დეივიდ, ჩვენში ძალიან ნეგატიურად ხვდებიან, როდესაც ქართველი ფეხბურთელები დაბალი დონის კლუბებში მიდიან...*

— იმის გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ თქვენი ფეხბურთელები „აიაქსში“ ან „ბარსელონაში“ მოხვდებიან, მაგრამ შევეცდები მათ ნორმალური კლუბები გამოვუძებნო, არც აშშ-სა და მექსიკის გუნდებს გამოვრიცხავ, ვნახოთ...

● *როდის ველოდოთ თქვენს მომავალ ვოიაჟს საქართველოში?*

— საქართველოში ყოფნა ისე მომეწონა (იცინის), შეიძლება არც წავიდე აქედან...

ჯემალ ჭიპაშვილი

რატომ ტოვებს ვან გაალი «აიაქსს»?

მოთამაშის წლებიც რომ ჩავთვალოთ, „აიაქსში“ მთელი 8 წელი გავატარე. ახლა სჯობს სხვა კლუბი მოვნახო“ — განუცხადა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ჟურნალისტებს.

ვან გაალი 45 წლისაა. 1991 წელს მან ამსტერდამის „აიაქსში“ შეცვალა ცნობილი სპეციალისტი ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი), რომელიც ამ გუნდში ბევრს ვერაფერს გახდა. ახალგაზრდა მწვრთნელის შედეგები კი პირდაპირ გასაოცარი იყო. „აიაქსმა“ უძლიერეს მეტოქეებთან „პსვ ეინდჰოვენსა“ და როტერდამის „ფეიენოორდთან“ ბრძოლაში ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჰოლანდიის ჩემპიონობა, ერთხელ დაეუფლა ჰოლანდიის თასსა და ზედიზედ სამჯერ — ქვეყნის სუპერთასს.

ახლა საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ წარმატებებს აღარ იტყვით? 1992 წელს „აიაქსი“ უეფას თასს დაეუფლა. შემდეგ ჩემპიონთა თასიც მოიპოვა ევროპის სუპერთასს და საკონტინენტთაშორისო თასსაც გამოჰკრა ხელი. 1996 წელს „აიაქსი“ ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა და იქ კი ტურინის „იუვენტუსთან“ 11-მეტრიანების სერიით განიცადა მარცხი. სულ „აიაქსმა“ ვან გაალის ხელმძღვანელობით 52 საერთაშორისო მატჩი გამართა და მხოლოდ ექვსჯერ დამარცხდა.

მაშ რატომღა ტოვებს ესოდენ სახელოვანი მწვრთნელი „აიაქსს“ ამ სეზონის დამთავრების შემდეგ? საქმე ის არის, რომ იგი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა „აიაქსის“ დირექტორატის პოლიტიკას — ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ წამყვანი მოთამაშეების ჯგუფს ჰყიდდნენ და მათ ნაცვლად ჭაბუკ ფეხბურთელებს იწვევდნენ ისე, რომ ვან გაალს ყოველ წელს ახალი გუნდის შედგენა და შეღულაბება უხდებოდა. მის პროტესტს ყურადღებას არ აქცევდნენ. „აიაქსის“ დირექტორატი კი მდიდრდებოდა, მაგრამ თვით გუნდი დასუსტდა და ეს დაეტყო მის გამოსვლებს არა მარტო ჩემპიონთა თასზე, არამედ ჰოლანდიის ჩემპიონატში. ამას დაერთო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ტრავმა და ვან გაალმაც, როგორც ჩანს, აიყარა გული.

ანი „სიტის“ კოპელი კი არა, მამაზეციერიც ველარ უშველის და მერე... ქინქლაძესაც შეელევიან

პრემიერლიგიდან გავარდნილ „მანჩესტერ სიტის“ ეფრო დაბალ ლიგაშიც შავად აქვს საქმე. როგორც იქნა, წაგებაშეჩვეულმა გუნდმა მწვრთნელს მიაგნო — „კრისტალ პალასის“ ტექნიკურმა დირექტორმა სტივ კოპელმა მოჰკიდა ამ საქმეს ხელი (ამის შესახებ „ლელომ“ უკვე ამცნო ფეხბურთის მოყვარულებს).

კოპელის დებიუტი მეთორმეტე ტურში შედგა ლონდონში: „მანჩესტერ სიტი“ სტუმრად „ქუინზ პარკს“ შეხვდა და თითქმის წაგებულ მატჩში ქულა იხსნა, 2-2 (ბოლო წუთებში გიორგი ქინქლაძის მიერ მოპოვებული პენალტი, თვით ქართველმა ლეგიონერმა გამოიყენა), რამაც მანჩესტერელ გულშემატკივრებს იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა, ეგებ კრიზისი დაძლეულ იქნასო. მაგრამ არა — მომდევნო ტურში, რომელიც 15 ოქტომბერს გაიმართა, „სიტიმ“ კვლავ წააგო, ამჯერად „რედინგთან“ 0-2.

როგორც ეტყობა, „სიტის“ მეპატრონეს ფრენსის ლის მოუწევს თავისი პირობის შესრულება — თუ გუნდმა პრაქტიკულად დაკარგა შანსები, გადავიდეს პრემიერლიგაში, გიორგი ქინქლაძეს შეელევა.

ომარ თეთრაძე დისკვალიფიცირებულია სეზონის ბოლომდე

რუსეთის ფეხბურთის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომისიამ ვლადიკავკაზის „ალანიის“ მცველს ომარ თეთრაძეს სამი მატჩით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სეზონის ბოლომდე იგი ველარ გამოვა მინდორზე. რისთვის დაიმსახურა თეთრაძემ ასეთი მკაცრი სასჯელი?

სადისციპლინო კომისიის ფორმულირებით თეთრაძე ცდილობდა ფიზიკური ზემოქმედება მოეხდინა ცსკა – „ალანიას“ მატჩში ერთ-ერთ გვერდით მსაჯზე, გვარად სერგეი ტალაგაევზე. შეგახსენებთ, რომ ცოტათი უფრო ადრე საკმაოდ მძიმე ვერდიქტი გამოუტანეს „ალანიის“ მეორე მოთამაშეს სერგეი ტიმოფეევს – მას ჩამოართვეს პროფესიონალი ფეხბურთელის ლიცენზია.

ჯორჯ ვეა

ერიკ კანტონა (შავ მაისურში)

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

II ჯგუფი, X ტური

აღმოსავლეთის ზონა

ფინერი – მრეტები 1-1, სტუ – იბერია 2-1, ავაზა – ცხინვალი 0-3, შსს აკადემია – ასკ 0-1, ლოკომოტივი – კოდაკო 1-0, მესხეთი – შირაქი 1-3, თორი – ჰერეთი 1-0, დინამო-2 – სამგორი 1-0, მორკინალი – შევარდენი-2 6-0.

ლიდერობენ ლოკომოტივი – 26 ქულა (10-დან), მორკინალი – 20 (9), ასკ – 19 (10)

დასავლეთის ზონა

სალხინო – სქური 2-0, სულორი – მერცხალი 1-3, მამისონი – მეშახტე 0-1, დინამო-2 – საპოვნელა 2-4, ტორპედო-2 – სამეგრელო 0-2, ეგრისი – კოლხეთი-2 1-1, მადნეული – ოდიში-2 4-1, კახაბერი – იმერეთი 2-4.

ლიდერობენ: მადნეული – 27 ქულა (10-დან), მეშახტე 27 (10), მერცხალი 22 (10).

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

უეფას თასი. 1/16 ფინალის პირველი მატჩები

დინამო (თბილისი) — ბოავიშტა (პორტუ) 1-0. გოგიჩაიშვილი (28, პენალტით).

ჰამბურგი (გერმანია) — სპარტაკი (რუსეთი) 3-0 1-0 ბრაიტენრაიტერი (8), 2-0 ბარონი (39), 3-0 კოვაჩევიჩი (57).

შალკე-04 (გერმანია) — ტრაბზონსპორი (თურქეთი) 1-0. მაქსი (77).

მეცი (საფრანგეთი) — სპორტინგი (პორტუგალია) 2-0. 1-0 ტრაორი (5), 2-0 ლანჟი (13).

ლეგია (პოლონეთი) — ბეშიქტაში (თურქეთი) 1-1. 1-0 სოკოლოვსკი (22), 1-1 ორჰანი (70).

კარლსრუე (გერმანია) — რომა (იტალია) 3-0. 1-0 ფინკი (45), 2-0 დანდი (58), 3-0 ფინკი (76).

გიმარაეში (პორტუგალია) — ანდერლეხტი (ბელგია) 1-1. 1-0 ლოპეში (7), 1-1 ზეტერბერგი (78).

სლავია (ჩეხეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 0-1. მოია (73).

ბრიუგე (ბელგია) — ნაციონალი (რუმინეთი) 2-0. 1-0 ვენჰაიენი (10), 2-0 სტალენსი (39).

ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ქსამაქსი (შვეიცარია) 2-0. 1-0 იონსონი (14), 2-0 იონსონი (61).

მიონხენგლადბახი (გერმანია) — მონაკო (საფრანგეთი) 2-4. 0-1 კოლინზი (12), 1-1 ჰოშტრატერი (57), 1-2 იკპება (58), 2-2 ანდერსონი (73), 2-3 ანრი (77), 2-4 იკპება (89).

ინტერი (იტალია) — გრაცერი (ავსტრია) 1-0. ანგლომა (81).

ლაციო (იტალია) — ტენერიფე (ესპანეთი) 1-0. ნედვედი (65).

აბერდინი (შოტლანდია) — ბრონდბიუ (დანია) 0-2. 0-1 სანდი (43), 0-2 ჰანსენი (89).

ფერენცვაროში (უნგრეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) 3-2. 1-0 ჰოვარტი (7), 2-0 ლისტეში (18), 2-1 ფერდინანდი (26), 2-2 შირერი (36), 3-2 ლისტეში (59).

ესპანიოლი (ესპანეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0-3. 0-1 ვან გასტენი (22), 0-2 ტაუმენტი (56), 0-3 ლარსონი (90).

ჩემპიონთა ლიგა

A ჯგუფი

აიაქსი (ჰოლანდია) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) 4-1. 1-0, 2-0 დანი (25,40), 3-0 ბაბანგიდა (82), 3-1 დურანტი (85), 4-1 ვოუტერსი (89).

ოსერი (საფრანგეთი) — გრასჰოპერსი (შვეიცარია) 1-0. 1-0 დენიო (42).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გრასჰოპერსი	3	2	0	1	4-1	6
აიაქსი	3	2	0	1	5-2	6
ოსერი	3	2	0	1	3-2	6
რეინჯერსი	3	0	0	3	2-9	0

B ჯგუფი

ატლეტიკო (ესპანეთი) — ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) 0-1. როიტერი (51).

სტიაუა (რუმინეთი) — ვიძევი (პოლონეთი) 1-0. ბოგუში 82, (საკ. კარში)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბორუსია	3	3	0	0	6-1	9
ატლეტიკო	3	2	0	1	8-2	6
სტიაუა	3	1	0	2	1-7	3
ვიძევი	3	0	0	3	2-7	0

C ჯგუფი

რაპიდი (ავსტრია) — იუვენტუსი (იტალია) 1-1. 0-1 ვიერა (8), 1-1 ლესიაკი (18).

ფენერბახჩე (თურქეთი) — მანჩ. იუნაიტედი (ინგლისი) 0-2. 0-1 ბექჰემი (55), 0-2 კანტონა (61).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იუვენტუსი	3	2	1	0	3-1	7
მანჩ. იუნ.	3	2	0	1	4-1	6
რაპიდი	3	0	2	1	2-4	2
ფენერბახჩე	3	0	1	2	1-4	1

D ჯგუფი

რუსენბორგი (ნორვეგია) — პორტუ (პორტუგალია) 0-1. 0-1 ჟარდელი (88)

გიოტებორგი (შვედეთი) — „მილანი“ (იტალია) 2-1. ვეა (52), 1-1 ვალსტედტი (76), 2-1 ალექსანდრსონი (85).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პორტუ	3	3	0	0	6-3	9
მილანი	3	1	0	2	7-6	3
გიოტებორგი	3	1	0	2	4-5	3
რუსენბორგი	3	1	0	2	4-7	3

თასების მფლობელთა თასი

1/8 ფინალის პირველი მატჩები

ნიმი	(საფრანგეთი)	—	აიკი	(შვედეთი)	1-3
ბრანი	(ნორვეგია)	—	ეინდჰოვენი	(ჰოლანდია)	2-1
გალათასარაი	(თურქეთი)	—	პსჟ	(საფრანგეთი)	4-2
ოლიმპია	(სლოვენია)	—	აეკი	(საბერძნეთი)	0-2
ფიორენტინა	(იტალია)	—	სპარტა	(ჩეხეთი)	2-1
სიონი	(შვეიცარია)	—	ლივერპული	(ინგლისი)	1-2

ჩვენი თანამემამულე სლოვენიაშიც კი თამაშობს

შარშანდელი სეზონის მიწურულს მწვრთნელებთან კონფლიქტის გამო ზესტაფონის „მარგვეთის“ თავდამსხმელმა თემურ მორგოშიამ გუნდი მიატოვა და რამდენიმე ხანი თბილისის „დინამოსთან“ დილმის ბაზაზე ვარჯიშობდა. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი საფეხბურთო კარიერა, ერთ მშვენიერ დღეს „დინამოს“ გერმანელ მენეჯერს ერვინ კოზაკოვსკის რომ არ დაერეკა და იგი, ზვიად პაპიძე, გუბაზ დოლიძე და ნიკა ყიფიანი „ჰომბურგში“ გასასინჯად არ მიეწვია.

გერმანიაში ორი კვირის ვარჯიშის შემდეგ თემური მიხვდა, რომ უცებ ამდენ ქართველს ერთ გუნდში არ აიყვანდნენ (ნიკა ჩხეიძე და კახი კაჭარავა უკვე კარგა ხანია იქ გამოდიან) და გადაწყვიტა სხვაგან ეძია ბედი. კვლავ გერმანელი მენეჯერის დახმარებით მორგოშია ლიუბლიანას საფეხბურთო კლუბ „სლოვენიაში“ ჩაირიცხა, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში გამოდის და პირველში გადასვლის რეალური კანდიდატია.

ამრიგად, თემურ მორგოშია პირველი ქართველი ლეგიონერია, რომელიც სლოვენიაში თამაშობს.

ზეპ ბლატერი: „ეს არ არის ის ქორწინება, ჩვენ რომ გვსურს!“

როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, მაისში ფიფას კონგრესმა მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება – 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ერთდროულად ორი ქვეყანა – იაპონია და სამხრეთ კორეა უმასპინძლებს!

მაგრამ ეს ორი ქვეყანა სულ უფრო და უფრო ექიშპება ერთმანეთს. „ისინი არა მხოლოდ უახლოვდებიან, არამედ შორდებიან კიდეც ერთმანეთს. ეს არ არის ის ქორწინება, ჩვენ რომ გვსურს — განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა. ჩვენთვის ისიც კი ძალზე ძნელი იყო, ეს ორი, ერთმანეთის მიმართ არცთუ მეგობრულად განწყობილი მხარე შეგვეხვედრებინა“.

ეს შეხვედრა 6 ნოემბერს ციურიხში უნდა შედგეს და ბლატერი ამთავითვე ასე ნერვიულობს: „ეს არ იქნება სამო სანახაობა, ისინი ხომ ერთობლივი ტურნირის ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხშიც ვერ შეთანხმებულან“.

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, სადავო ისიც ყოფილა, თუ რომელ ქვეყანაში ჩატარდეს ფინალური მატჩი. ამის გასარკვევად შესაძლოა, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ეროვნული ნაკრებები შეახვედრონ პირისპირ.

ვენგერი – «არსენალის» სათავეში

გამოჩენილ ფრანგ მწვრთნელს არსენ ვენგერს სამშობლოში მრავალი წარმატება ჰქონდა, ბოლო ხანებში იგი იაპონიაში მუშაობდა, ახლა კი ლონდონის „არსენალს“ ჩაუდგა სათავეში. ამ განთქმულ კლუბში ბევრი მწვრთნელი გამოიცვალა, ვინაიდან მის მესვეურებს შედეგები არ აკმაყოფილებდათ.

აი რა განუცხადა არსენ ვენგერმა ინგლისელ ჟურნალისტებს:

— ჩემი ამოცანაა „არსენალის“ თამაშის ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ეს ეხება ძირითად გუნდსა და ყმაწვილების კოლექტივსაც. რა თქმა უნდა, რაიმე სწრაფ რევოლუციას არ მოვახდენთ, მაგრამ გუნდის თამაში უნდა გარდაიქმნას.

„ლელო“-ს საკუთარი კორესპონდენტი ხათუნა აფაქიძე გერმანიიდან

რაზე ოცნებობს „რობერტო ფანტასტიკო“

ინტერვიუ «ბრავო სპორტიდან»

ბრავო სპორტი – ჩაო, რობერტო, როგორ არის შენი საქმეები?

რობერტო ბაჯო – ხომ იცი, გასული წელი ჩემთვის საუკეთესო არ იყო. მაგრამ ახლანდელი სეზონისთვის კარგი მოსამზადებელი პერიოდი მქონდა და საუკეთესო ფორმაში ვარ.

ბ. ს. – მართლაც გასული სეზონი შენთვის წარმატებებით არ გამოირჩეოდა. როგორ მოხდა, რომ 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელი და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი „მილანის“ სათადარიგო მოთამაშეთა გვერდით აღმოჩნდი?

რ. ბ. – გასული სეზონის წინ რამდენიმე კვირა ტრავმა მაწუხებდა. მერე დარტყმა არ გამომდიოდა, მილანში კი სუსტი თამაში არავის ეპატიება. მსოფლიოს საუკეთესო კლუბში კონკურენცია, რომ დიდია, ცხადია.

ბ. ს. – რობერტო ბაჯოსთვისაც?

რ. ბ. – დიახ, ჩემგან ყოველთვის სასწაულებს მოელიან. ამას უკვე რამდენიმე წელია ვგრძნობ.

ბ. ს. – როგორი რეაქცია გქონდა, როცა გაიგე, რომ ინგლისში, ევროპის პირველობაზე, იტალიის ნაკრების შემადგენლობაში არ ითამაშებდი?

რ. ბ. – მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ყველამ ნახა თუ როგორ გამოეთიშა იტალია ჩემპიონატს. ჩემთვის ეს თემა დახურულია. ინგლისში კიდეც რომ მეთამაშა, მაშინაც კი.

ბ. ს. – ბევრი ამბობს, რომ შენ მობერდი...

რ. ბ. – უსაფუძვლო მტკიცებაა. მე 29 წლისა ვარ. ე. ი. საუკეთესო საფეხბურთო ხანა მიდგას. ამას კიდევ დავუმტკიცებ იმათ, ვინც „ჩამომწერა“, შეგიძლია დარწმუნებული იყო.

ბ. ს. – შენეული თავისუფალი დარტყმა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. რა არის ამ დარტყმის საიდუმლო?

რ. ბ. – ვარჯიში, ვარჯიში და ვარჯიში, რასაკვირველია, ცოტა ტალანტიც გესაჭიროება. უმთავრესი კი ისაა, რომ შენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენო. საჭაბუკეში, ყოველთვის, სხვებზე ცოტათი მაინც, მეტს ვაკეთებდი. ალბათ, ათეულ ათასობით თავისუფალი დარტყმა გამიკეთებია წვრთნის პერიოდში.

ბ. ს. – პირადული საქმეები როგორ გაქვს?

რ. ბ. – ოჯახი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ყოველ დღე ღმერთს მადლობას ვუხდი ჩემი მეუღლისა და ბავშვების გამო. შარშანდელმა წარუმატებლობამ ეს გრძნობა კიდევ უფრო განმიმტკიცა. როცა ჩემს ბავშვებს ვეთამაშები, მაშინ „მილანი“ სულაც არ მახსოვს.

ბ. ს. – რა მნიშვნელობას ანიჭებ ფულს?

რ. ბ. – რასაკვირველია, პირველად კარგი კონტრაქტები და ხელფასი მაინტერესებდა, მაგრამ გარკვეული დროის მერე, ინტერესი გამიქრა. ფული ადამიანს დამოუკიდებლობის გრძნობას ანიჭებს. მე და ჩემი ოჯახის წევრებს ვერავინ გვიბრძანებს რაიმეს გაკეთებას. ეს თავისუფლებაა და იგი ნამდვილად კარგი გრძნობაა.

ბ. ს. – ფეხბურთი, მილიონები, „მილანი“ – კაცს ეგონება თითქოს ეს ყველაფერი შენ სულ არ გაინტერესებს.

რ. ბ. – (იცინის) სწორია. მე დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი მეთევზე, სერიოზულად კი – ფეხბურთი ჩემი პროფესიაა. ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მაქსიმალურად კარგად ვცდილობ გავაკეთო საქმე. სხვა არაფერი. აღრე, ხანდახან ზედმეტად გაბრაზებული ვიყავი თამაშის დროს, ახლა კი ვცდილობ თამაშის პროცესმა სიამოვნება და სიხარული მომიტანოს.

ბ. ს. – ე. ი. ჩვენ „რობერტო ფანტასტიკოს“ შემდგომ ბრწყინვალე თამაშებს ველოდოთ?

რ. ბ. – ასი პროცენტით გპირდებით ამას.

ბ. ს. – შენ გერმანიაში ბევრი გულშემატკივარი გყავს, მათი უმრავლესობა – სუსტი სქესია.

რ. ბ. – ბერლინის პოტელის შესასვლელთან ათეულობით გოგონა დამხვდა. მეგონა მიუნხენის „ბავარიის“ მოთამაშეებს ელოდებოდნენ. მათ კი... „რობი, რობი!“ – გამიკვირდა.

ბ. ს. – რა სპორტული მიზანი გაქვს მომავალი წლისათვის?

რ. ბ. – მილანისა და მილანელთა წინაშე ერთი ვალი მაქვს. ყველაფერს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება აჯობებდა, ფინალური მატჩის 89-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთის დარტყმა და ევროპის თასის ხელში ატაცება, ეს იქნებოდა ჩემი ოცნება!

„ბრავო სპორტი“ 1996.

რობერტო ბაჯო

შოტლანდიის ფეხბურთის ამბები

◆ 1969 წლის „ოქროს ბუცის“ მფლობელი, ბულგარელი პიოტრ ჟეკოვი ჰყიდის თავის ჯილდოს. იგი ჰყიდის აგრეთვე „ბრინჯაოს ბუცებს“, რომლებიც დაიმსახურა 1970 და 73 წლებში. ევროპის ყოფილი საუკეთესო გოლეადორის განცხადებით, იგი იძულებულია გამოეთხოვოს მისთვის უძვირფასეს საჩუქრებს იმიტომ, რომ უკიდურესად არის გაჭირვებული. როგორც ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის თანამშრომელი თვეში 12 ათას ლევს (60 დოლარს) იღებს იმ დროს, როცა ჯერ მარტო გათბობის ყოველთვიური გადასახადი 8 ათასი ლევია.

◆ ბრაზილიის ხელისუფლება დაინტერესდა რომარიოს ფინანსური მდგომარეობით და იხდის თუ არა იგი კეთილსინდისიერად გადასახადებს. სამართალდამცავი ორგანოების ეჭვი გამოიწვია წარმოებამ, რომელიც ფეხბურთელმა გახსნა ბრიტანეთის ვირგინიის კუნძულებზე.

◆ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ავსტრიასთან დამარცხების შემდეგ (0-1), სკანდინავიის პრესამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შვედეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტომი სვენსონი. მას ბრალს სდებენ იმაში, რომ 11-მეტრიანის დარტყმა ანდო კენეტ ანდერსონს, ფეხბურთელს, რომელმაც ვერ გამოიყენა პენალტი ლატვიასთან. ეს, გაზეთების აზრით, მწვრთნელის პროფესიონალური შეცდომაა. შვედების თამაშით ბოლო დროს უკმაყოფილოა უეფას პრეზიდენტიც, ლენარტ იუჰანსონი, გულით და სულით შვედი პატრიოტი.

◆ ყოველკვირეულ პრესკონფერენციაზე გულის იშემიური შეტევის შედეგად „დუისბურგის“ კლუბის დარბაზში გარდაიცვალა 58 წლის მწვრთნელი დიტერ ფიშდიკი, რომელიც რეგულარულ ანგარიშს აბარებდა ჟურნალისტებს გუნდის თამაშის შესახებ.

◆ შვეიცარიის მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები აღშფოთებული არიან იმის გამო, რომ ნაკრების წევრები, საერთაშორისო მატჩის წინ, არ მღერიან ეროვნულ ჰიმნს. მაგრამ ამას თურმე აქვს მიზეზი, შესაძლოა ობიექტურიც. შვეიცარიის სახელმწიფო ჰიმნი შინაარსით რელიგიოზური ყოფილა და თანაც ძნელად შესასრულებელი. ამავე დროს იგი სამ ენაზე (გერმანული, ფრანგული, იტალიური) სრულდება. ეს ჰიმნი მთავრობამ 1961 წელს შემოიღო. მანამდე კი სრულდებოდა სამხედრო ჰიმნი, რომელიც მიმართული იყო შუა საუკუნეების წარსულისკენ.

◆ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს პანამის ნაკრები სუსტად ატარებს. მან უკვე წააგო ორი მატჩი, თანაც ერთნაირი ანგარიშით (1-3) კანადასთან და კუბასთან, ხოლო ერთი შეხვედრა შინ სალვადორის გუნდთან ფრედ (1-1) დაამთავრა. ამ წარუმატებლობას ფეხბურთის ხელმძღვანელობა კოლუმბიელ მწვრთნელს ხეზარ მატურანუს აბრალებს. (მისმა ძმამ ფრანსისკო მატურანუმ კოლუმბიის ნაკრები სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად აქცია) და სწორედ ამიტომ იგი შეცვალა ორლანდო მუნიოსით, რომელიც, როგორც გაზეთები იუწყებიან, თუ არ გამოდგა, პანამელი მაინც არ არის.

◆ 26 წლის შვედმა თომას ბროლინმა გადაწყვიტა თავი დაანებოს ფეხბურთს თუ მისი ახლანდელი კლუბი, ინგლისის „ლიდსი“ არ მისცემს საშუალებას გადავიდეს „ციურიხში“. თავის მხრივ „ლიდსის“ ხელმძღვანელობა კონტრაქტის შეუსრულებლობისათვის დისკვალიფიკაციით ემუქრება.

კრიმინალური ქრონიკა

✱ უზბეკეთიდან ემიგრირებულმა, 31 წლის ფეხბურთელმა ალექსანდრე კოუჩუკოვმა, რომელიც მალაიზიის ნახევრადპროფესიონალურ კლუბ „კუალა ტრენგანუში“ თამაშობდა, თვითმკვლელობით დაამთავრა ცხოვრება — გადმოხტა მეცამეტე სართულიდან. გარდაცვლილის მეუღლის განცხადებით მას ჯერ ვენების გადაჭრა უცდია, მაგრამ როგორც ჩანს სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და თავისი ბინის აივნიდან გადახტა. ალექსანდრე კოუჩუკოვს ჰყავდა ბავშვი პირველი ცოლისაგან, ადგილობრივი პოლიცია ირკვევს იყო თუ არა ეს მიზეზი ცოლ-ქმარს შორის განხეთქილებისა.

✱ „ნიუკასლის“ მწვრთნელის, წარსულში ევროპის საუკეთესო ფორვარდის, კევინ კიგანის განცხადებით, გუნდის კოლუმბიელი ლეგიონერი ფაუსტინიო ასპრილია გაქრა უგზოუკვლოდ. ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ მან ჩაატარა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი ეკვადორის გუნდთან და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა. ამის მერე გაქრა ფეხბურთელის კვალი. არადა, მას მონაწილეობა უნდა მიეღო ინგლისის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „დერბის“ წინააღმდეგ. როგორც იტყობინებიან, კოლუმბიიდან თვითმფრინავს, რომლითაც უნდა ჩამოფრენილიყო ფეხბურთელი ინგლისში, უწესრიგობა აღმოაჩნდა, მაგრამ არ არსებობს არავითარი ცნობა ამ თვითმფრინავის დაღუპვის ან კატასტროფის შესახებ. კიგანმა კატეგორიულად უარყო ვერსია, თითქოს ასპრილია ვერ გრძნობდა თავს კარგად „ნიუკასლში“ და იტალიაში აპირებდა გადასვლას.

სურათზე: ფაუსტინო ასპრილია

✱ ბუენოს-აირესის ფედერალურმა მოსამართლემ ერნან ბერნასკონიმ პასუხისგებაში გადასცა დიეგო მარადონას 48 წლის აგენტის გილერმო კაპოლას საქმე, რომელსაც შინ აღმოუჩინეს გასაყიდად გამზადებული 500 გრამი კოკაინი. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელი ფეხბურთელი, ქვეყნის პრეზიდენტ კარლოს მენემთან ერთად აქტიურად ჩაება ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი სახელი პერიოდულად ამოტივტივდება ხოლმე სკანდალურ სიტუაციებში, რაც მას სახელს უტეხავს საზოგადოებრივობის თვალში. როგორც ამბობენ, ამ ფაქტმა მარადონაზე დამთრგუნველად იმოქმედა, ვინაიდან კაპოლა მისი უახლოესი მეგობარია.

◆ ⸻ ◆

FRANCE 98
COUPE DU MONDE
© 1994 FSL TM

ორი მატჩი

გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორი მატჩი კონკაკაფის ზონაში. II ჯგუფის ნახევარფინალურ რაუნდში კუბის ნაკრები შინ დამარცხდა კანადელებთან 0-2. ახლა ამ ჯგუფში სატურნირო ცხრილი გამოიყურება ასე:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კანადა	3	3	0	0	7-1	9
სალვადორი	2	1	1	0	6-1	4
კუბა	4	1	0	3	3-10	3
პანამა	3	0	1	2	3-7	1

მეორე მატჩი შედგა III ჯგუფში. სენ-ვინსენტმა, ასევე შინ, დიდი ანგარიშით დათმო ბრძოლა ჰონდურასთან.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იამაიკა	2	2	0	0	5-1	6
ჰონდურასი	3	2	0	1	6-5	6
მექსიკა	2	1	0	1	4-2	3
სენ-ვინსენტი	3	0	0	3	2-9	0

ნბა ემზადება, ნბა ამოწმებს

ნბა-ს მორიგი ჩემპიონატის სტარტის მოახლოვებასთან დაკავშირებით დაიწყო ამხანაგური, საკონტროლო მატჩების საკმაოდ ინტენსიური სერია. ცხადია ყურადღების ცენტრშია პოტენციურ ლიდერთა მატჩები, რომელთაგან რამდენიმე შედეგს აქვე შემოგთავაზებთ.

„ჩიკაგო“ — „სიეტლი“. თითო დღის ინტერვალით მეტოქეებმა ორი შეხვედრა ჩაატარეს. პირველში, რომელიც „ჩიკაგომ“ მოიგო (120:112) მოედანზე საუკეთესონი იყვნენ იუგოსლაველი ლეგიონერი ტონი კუკოჩი (23 ქულა) და მაიკლ ჯორდანი (ქულით ნაკლები). მეორე ბრძოლაში „სიეტლმა“ რევანში აიღო. ჯორდანს ამჯერად უფრო მოკრძალებული შედეგი ჰქონდა — 17 ქულა.

„ლეიკერსი“ — „დენვერი“. შაკილ ო'ნილი ჯერჯერობით ვერ ავლენს 130 მილიონ დოლარიანი კონტრაქტით გათვალისწინებულ თამაშს, . თუმცა ორთავე მატჩში (მეტოქეები აქაც ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს) ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. „ლეიკერსმა“ პირველი შეხვედრა 10 (111:101), მეორე კი 9 ქულით მოიგო. შაკილმა თავის გუნდს შესაბამისად 25 და 27 ქულა შესძინა.

„ჰიუსტონი“ — „ბოსტონი“. ჩარლზ ბარკლის მისვლა „ჰიუსტონში“ იმას ნიშნავს, რომ გუნდი ჩემპიონობის დაბრუნებას აპირებს. პირველ მატჩში (113:97) ბარკლიმ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც „ფარის მოთამაშემ“. 14 ქულა, რომელიც მან შესძინა გუნდს, თავისთავად არაფერია, აი 12 ბლოკშოტი ერთ მატჩში გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს. უფრო მძაფრი ბრძოლა ჰქონდა ჰიუსტონს სან-ანტონიოსთან, რომელიც ბარკლის გუნდმა მხოლოდ 3 ქულით მოიგო (112:109). ამ შეხვედრაში მისთვის განკუთვნილი ლიდერის პოსტი დაიკავა ხაკიმ ოლაჯიუვონმა — 23 ქულა. ბარკლი თანაგუნდელს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა.

შაკილ ო'ნილიმ ლეიკერსის „ჩოხა“ მოირგო

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან

✱ **ფარიკაობა.** საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე მოხდა ფუნქციათა გადანაწილება ამ ორგანიზაციის შიგნით. გენერალურ მდივნად აირჩიეს იტალიელი მარიო ფავა, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა უნგრელი ენე კამუტი. რაც შეეხება ფედერაციის პრეზიდენტს, იგი აირჩიეს ატლანტის ოლიმპიადის დღეებში. მაშინ ფრანგმა რენე როკმა მხოლოდ ერთი ქულით აჯობა (43:42) კამუტის. მაგრამ ამ არჩევნების შემდეგ პრობლემები საერთაშორისო ფედერაციაში მაინც დარჩა. სწორედ ამიტომ მოითხოვენ ეროვნული ფედერაციები 30 ნოემბერს სევილიაში საგანგებო კონგრესის ჩატარებას.

✱ **მაგიდის ჩოგბურთი.** საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დამტკიცდა უძლიერეს მოთამაშეთა ახალი რეიტინგი. ვაჟებში პირველ სამ ადგილზე ჩინელი სპორტსმენები არიან (მათ შორის უძლიერესია კუნ ლინხუ — 1712 ქულა), ქალებში კი პირველ ორ ადგილზე (ყველაზე მეტი ქულა დენ იაპინს აქვს — 1911).

✱ **ინდიკარი.** მიჩიგანის შტატში შედგა ჩემპიონატის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა ახალი შეჯიბრების გრაფიკი და რეგლამენტი. შეჯიბრების ერთ-ერთი ეტაპი მოეწყობა სენტ-ლუისის მახლობლად აშენებულ ტრეკზე, რომელიც დღეს 45 ათას მაყურებელს იტევს, უახლოეს ხანში კი გაიზრდება 80 ათას მაყურებლამდე. შეჯიბრება დაიწყება 2 მარტს, მაიამიში, და დამთავრდება 28 სექტემბერს ფონტანაში.

პროფესიულ რინგზე ● ველოსპორტის ბრასებზე

✦ **ამერიკელ** ოსკარ დე ლა ჰოიასთან ივნისში დამარცხების შემდეგ 34 წლის მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მექსიკელმა ხულიო სესარ ჩავესმა (63,5 კგ) პირველი ბრძოლა გამართა ამერიკელ ჯოი გამაჩესთან და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. უფრო სწორედ, მეცხრე რაუნდში მეტოქემ უარი განაცხადა. ეს იყო ჩავესის 98-ე ბრძოლა პროფესიულ რინგზე და მეოთხმოცე გამარჯვება ნოკაუტით. ჩავესი დიდ იმედებს ამყარებს დე ლა ჰოიასთან რევანშზე.

✦ **ტოკიოში** 26 წლის ხიროში კავაშიმამ დაიცვა ჩემპიონის ტიტული 52,2 კგ-ში ვბს-ს ვერსიით. მეორე რაუნდის მიწურულს ნოკაუტში გაგზავნა დომინიკანელი დომინგო სოსა.

✦ **ინგლისელმა** რობინ რეიდმა ბარსელონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და პროფესიონალებში გადავიდა. ახლახან მილანში უკვე 25 წლის რეიდმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული წაართვა 76,2 კგ-ში (ვბს-ს ვერსიით) ვინჩენცო ნარდიელოს, რომლის ასაკმაც უკვე გადააბიჯა 30 წელს. სამაგიეროდ მეორე იტალიელმა, ჯოვანი პარიზიმ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა (ვბო-ს ვერსიით) 63,5 კგ-ში ესპანელ სერხიო რეისთან ბრძოლის შემდეგ.

▲ **ლუგანოში,** მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ მოეწყო ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი, რომელმაც განიხილა მიმდინარე საკითხები და დაამტკიცა მომავალი წლის მნიშვნელოვან შეჯიბრებათა კალენდარი. სეზონის სამი მთავარი მრავალდღიანი ველორბოლა გაიმართება მაის-სექტემბერში, უფრო კონკრეტულად კი: „ჯირო დ. იტალია“ – 17 მაისიდან 8 ივნისამდე; „ტურ დე ფრანსი“ 5-დან 27 ივლისამდე; „ვუელტა“ კი 6-26 სექტემბერს. ამას გარდა, გადაწყდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გაისადაც ოქტომბერში მოეწყოს. ხოლო ეროვნული ჩემპიონატები, როგორც ყოველთვის, ყველა ქვეყანაში ერთსა და იმავე დღეს – 29 ივნისს გაიმართება.

▲ **წლევანდელი** „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონმა დანიელმა ბიარნე რიისმა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური რბოლის დამთავრების შემდეგ (სადაც მხოლოდ X ადგილი დაიკავა) განაცხადა, რომ სეზონს ამთავრებს და გაისამდე არც ერთ შეჯიბრებაში აღარ გამოვა. ორი თვე, ველოსიპედისტის განცხადებით, საკმარისი იქნება დასვენებისა და სრული რეაბილიტაციისთვის.

▲ **იმ დროს,** როცა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ლუგანოში მედლებისთვის იბრძოლნენ, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის და ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა მიგელ ინდურაინმა თავი გამოსცადა ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთში მოწყობილ კრიტერიუმში (ბარსელონის მახლობლად). ეს იყო მისი პირველი შეჯიბრება „ვუელტის“ შემდეგ, რომელიც დონ მიგელმა ფინიშამდე რამდენიმე ეტაპით ადრე მიატოვა. ამჯერად ინდურაინი პირველი იყო 42,5 კილომეტრზე რბოლაში. მან დააგროვა 32 ქულა. მეორე ადგილზე გასული მელჩორ მაური გამარჯვებულს 4 ქულით ჩამორჩა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დონ მიგელმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ვგრძნობ, რომ მოახლოვდა ჩემი წასვლის დრო. ეს შეიძლება მოხდეს ერთი ან ორი წლის შემდეგ, შეიძლება მოხდეს წლევანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ. მუდმივად სპორტულ ფორმაში ყოფნა უკვე მიჭირს. ოქტომბრის ბოლომდე უსათუოდ მივიღებ გადაწყვეტილებას და გაცნობებთ კიდეც“.

შევაჩ კოდუა

მორაგბეთა რიგებს გამოაკლდა ქართული რაგბის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი, საქართველოსა და „დინამოს“ საკავშირო საბჭოს ჩემპიონი, სსრკ ვიცე-ჩემპიონი, შევაჩ კოდუა.

სიცოცხლის 55 წლის მანძილზე მან ნათელი კვალი დატოვა არამარტო სპორტში, არამედ პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობაშიც, იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბომომარაგებისა და ვენტილაციის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

1962 წლიდან შევაჩ კოდუა თამაშობდა ჯერ სპის, შემდეგ კი თბილისის „დინამოს“ მორაგბეთა გუნდებში. საქართველოსა და საკავშირო ჩემპიონატებში გამოდიოდა 1971 წლამდე, ნიჭიერი ნახევარმცველი თბილისის „დინამოს“ საიმედო ძალა იყო და დიდი წვლილი შეჰქონდა ამ გუნდის წარმატებებში.

წავიდა ჩვენგან ერთობ გულისხმიერი და უპატიოსნესი კაცი, რომელმაც მოუშუშებელი ტკივილი დაუტოვა შესანიშნავ ოჯახს და მორაგბეთა საძმოს.

საქართველოს რაგბის კავშირი,
საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

აცხადებს მიღებას 1996-97 სასწავლო წლისათვის ასპირანტურის დასწრებულ (წარმოებიდან მოწყვეტით) განყოფილებაზე.

ასპირანტურაში მიღება წარმოებს სპეციალობით 13. 00. 04 „ფიზიკური აღზრდის, სპორტული წვრთნისა და გამაჯანსაღებელი ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა“ (სპორტის სახეობების მიხედვით).

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე, დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, კადრების აღრიცხვის ფურცელი, უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი, 6 ფოტო-სურათი (ზომით 3x4 უქუდოდ), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ავტობიოგრაფია, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობის მიხედვით).

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

ახალდამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია (ზემოთ ჩამოთვლილ საბუთებთან ერთად საჭიროა ამონაწერი საბჭოს სხდომის ოქმიდან).

ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ საკონკურსო მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა, რომელიც ასპირანტის პროფესიაა
2. მომიჯნავე დისციპლინა (რომელიც განსაზღვრული ასპექტით აისახება სადისერტაციო ნაშრომში)
3. ორი უცხო ენა (ასპირანტის არჩევით)

საბუთები მიიღება 1996 წლის 10 ნოემბრამდე. გამოცდები დაიწყება 15 ნოემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: 380062, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49, ტელ 29-37-94

იყიდება

სამოთახიანი კეთილმოწყობილი, გარემონტებული, იზოლირებული, ტელეფონიანი ბინა ვაზისუბანში (ისნის რაიონი). დაწყებულია გარაჟის მშენებლობა.

ტელ.: 78-30-28

საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილი
(სოფ. ჩარგალი)



შამათი 3 სვლაში

კროსვორდი



თარაზულად: 4. მარჯვენა ან მარცხენა მხარე მწკრივის ან მწყობრის ან... 6. ფეხბურთელი — მეკარე, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 9. რალში მონაწილე, 11. საქართველოს მთიანი რაიონი, 12. ცხოველი, რომელიც წყალშიც ცოცხლობს და ხმელეთზეც, 14. წყალსაცავი ტყიბულთან, 16. ვინმესთვის სათაყვანებელი პიროვნება, 19. ერთ-ერთი პლანეტა, 21. საასპარეზო... 22. მანათობელი პლანეტა, 23. დროებითი იზოლაცია ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად, 24. გამოძახილი ანუ... 27. თოთო მცენარე, 29. იტალიელი ფეხბურთელი, თამაშობს „ჩელსიში“, 30. წონის ერთეული ძველ რომში, მოკრივის ხელთათმანის წონა — სიდიდის ერთეული, 31. ბულგარელი ნათელმხილველი, 33. შეტევა, თავდასხმა ერთი სახელმწიფოსი მეორეზე, 35. ვაჭრობაში საქონელგაცვლა, 36. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი (ამჟამად ლეგიონერია), 37. იუგოსლავიის შემადგენლობიდან გამოყოფილი ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა, 38. ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა.

შვეულად: 1. სამშენებლო მასალა, 2. ცნობილი სოფელი ოჩამჩირის რაიონში, 3. ქართველი ფეხბურთელი — ლეგიონერი, 5. ფეხბურთელი-მცველი — უნგრეთის „დიდი გუნდის წევრი“, 7. ესპანეთის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 8. უღელტეხილი საქართველოში, 10 მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 13. ამორძალი ანუ... 15. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი, 17. აქროლადი ხსნარი, იყენებენ პარფიუმერიაში, 18. ცნობილი დინამოელი ვეტერანი ფეხბურთელი, 20. მსხვილი საკრედიტო დაწესებულება, 25. ბელგიის საფეხბურთო კლუბი, 26. სამხედრო ჩინი, წოდება, 28. გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება (შემოკლებით), 29. გერმანელი ფეხბურთელი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 32. მდინარე საქართველოში, 34. დიდი სამხედრო შენაერთი, 35. ცნობილი შვედი ფეხბურთელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ასათიანი, 6. ჯაფარიძე, 9. აბალაკოვი, 11. უდრასი, 12. გეტრი, 14. ენიოტი, 18. ზონინი, 20 „ისკრა“, 21. ბაგირი, 22. ტრამპლინი, 23. იპოდრომი, 24. „მარგვეთი“.

შვეულად: 1. სამჯიდი, 2. ნიჩაბი, 3. შანიძე, 4. დებიუტი, 7. ლახტი, 8. ინალიშვილი, 10. ფსიქოლოგია, 12. გულიტი, 13. „ივერია“, 15. „ბორუსია“, 16. „ეკიპი“, 17. ირიოლია, 19. „ინტერი“, 21. „ბრიუგე“

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.

„ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა. ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები მ. წოწორია, ნ. რამიშვილი, ბ. სურმავა.